

შესაგებლის წარმოდგენლობა, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გამოტანის წინაპირობა და აღნიშნულით გამოწვეული შედეგები

თამარ ჩარბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად.*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ელისაბედაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ ჩარბაძე

20.06.2022

აბსტრაქტი

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმული მხარეთათვის უზრუნველყოფილია უფლებათა სასამართლო წესით დაცვა. დარღვეული უფლებების დაცვასა და აღდგენასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები არიან საერთო სასამართლოები, მათ მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს მინიჭებული უფლებამოსილება სამართალწარმოების დაწყებაზე მხარეს უთხრან უარი, ხოლო სხვა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სამართალწარმოება, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ უმთავრეს პრინციპებს - დისპოზიციურობასა და შეჯიბრებითობას. მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს კეთილისინდისიერად, მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენების გზით, დაცული უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ჯანსაღად ფუნქციონირებს უმთავრესი პრინციპი.

უფლების სასამართლო წესით დაცვას უზრუნველყოფს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და მისი ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მხარეთათვის მინიჭებული საპროცესო უფლებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს არახელსაყრელი პირობები იმ მხარისათვის, რომელმაც ისინი არ გამოიყენა სათანადოდ. კანონმდებელმა აღნიშნული სამართლებრივი შემთხვევის მოსაწესრიგებლად შემოიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი, რომლითაც არის განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპი და ასევე, მხარეთა მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამო პასუხისმგებლობათა ამადლების საშუალება და დამატებითი გარანტია. იგი ემსახურება სასამართლოების განტვირთვას და დავების სწრაფად და მოკლე ვადებში განხილვას.

ნაშრომში განხილული საკითხები შეეხება აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის კვლევას, რომელიც შეეხება სასამართლოს შესაძლებლობას, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც მხარე, მოპასუხე, არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას -სასამართლოს წარუდგინოსშესაგებელი და თანდართული მტკიცებულებები, რომლითაც ეცდება მოსარჩელის პოზიციის

გაბათილებას. სასამართლო უფლებამოსილია პროცესში მონაწილე არაკეთილისინდისიერი მხარე, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობებს, დასაჯოს და მის მიერ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამით აღადგინოს დარღვეული უფლება, მაგრამ ამის საპირწონედ, აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი შორს არის სრულყოფისგან და თან სდევს ბევრი ხარვეზი, როგორც საკანონმდებლო ჩანაწერს, ისე მის შინაარსობრივ მხარეს. არსებობს შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ინსტიტუტი ვერ ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც აკისრია და კარგავს თავის ფუნქციას. დაუსწრებელი გადაწყვეტილება უმინიმუმელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტია და ხშირად არის განხილვის საგანი, რადგან მისი არასწორად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მხარის არახელსაყრელ და უსამართლო პირობებში ჩაყენება.

ნაშრომში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი მეთოდები, ასევე აღნიშნული ინსტიტუტის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პრობლემები, განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის შემთხვევები და მოცემულია სასამართლო პრაქტიკა, იმ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გააჩნია აღნიშნულ ინსტიტუტს.

ძირითადი სამიზნე სიტყვები: შესაგებელი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოსარჩელე, მოპასუხე, გადაწყვეტილება.

Abstract

Legal protection of rights is ensured for parties involved in civil-legal relations. The bodies that implement justice in connection with the protection and restoration of violated rights, are general courts. Only in cases strictly defined by the law, they have the authority to refuse the party to start proceedings, and in other cases, proceedings should be conducted, which should be based on the main principles provided by the Code of Civil Procedure - disposition and competitiveness. Justice must be administered in good faith, by putting the parties in equal conditions, the norms stipulated by the legislation must be respected, because this is the most important principle for the healthy functioning of the legal state.

Judicial protection of the right is provided by the Civil Procedure Code, and one of its features is that failure to use the procedural rights granted to the parties may lead to unfavorable conditions for the party who did not use them properly. In order to regulate the mentioned legal situation, the legislator introduced the institution of absentee decision, which strengthens the principle of competition and also means of increasing the level of responsibility due to the action or inaction of the parties and an additional guarantee. It serves to unburden the courts and resolve disputes quickly and in a short period of time.

The issues discussed in the thesis concern the research of the aforementioned legal institution, which concerns the possibility of the court to issue a decision in absentia when the defendant party does not fulfill its obligation - to present to the court the supporting and attached evidences, which will try to invalidate the claimant's position. The court is empowered to punish a dishonest party participating in the process, who does not fulfill the duties assigned by the court for an unjustified reason, and to issue a default judgment against him and thereby restore the violated right, but in contrast to this, the mentioned legal institution is far from perfect and is accompanied by many flaws, both in the legislative record and on its content side. There are cases when the said institution fails to fulfill its duty and loses its function. Default judgment is a very important legal institution and is often the subject of debate, because its misuse can lead to placing a party in an unfavorable and unfair situation. The thesis discusses historical, comparative-legal methods of making decisions in absentia, as

well as theoretical and practical problems of the mentioned institution, cases of inadmissibility of making decisions in absentia are discussed, and judicial practice is given regarding the key issues that the mentioned institution has.

Key words :Counterclaim, Default judgement, Plaintiff, Defendant, Decision.